პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1971 წ.
№ 232 (4482)
21 ნოემბერი, კვირა.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

გ. კოსტავას — ვერცხლის მედალი

გურამ კოსტავა. ეს სახელი ცნობილია ყველა იმათთვის, ვისაც ოდნავ მაინც უყვარს ფარიკაობა. დიახ, ამ ბრწყინვალე სპორტსმენის სახელთანაა დაკავშირებული ქართველი მუშკეტერების მთელი რიგი წარმატებები საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. იგი ჯერჯერობით ერთადერთი მოფარიკავეა ჩვენი რესპუბლიკიდან, რომელმაც მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონატებში პირად ტურნირებში სამჯერ დაისაკუთრა ბრინჯაოს მედალი. იგი ერთადერთია, რომელიც მსოფლიოს პირველ დამნადაც აღიარეს. ერთი სიტყვით, გურამ კოსტავას საფარიკაო ხელოვნება ამოუწურავია მაგრამ, როცა მის წარმატებებზე ვლაპარაკობთ, სამწუხაროდ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კოსტავამ მაინც მთლიანად ვერ გახსნა თავისი შესაძლებლობები. მართლაც, იშვიათია ფარიკაობის ისტორიაში ასეთი ფიზიკური მონაცემების დაშნით მოფარიკავე.

დახვეწილი ტექნიკა, ბრძოლის ულამაზესი მანერა, სიმსუბუქე, აი, ყველა კომპონენტი, რაც ამ შესანიშნავ სპორტსმენს ბუნებით აქვს მომადლებული. როცა გურამ კოსტავა საფარიკაო ბილიკზე გამოდის, მისგან ყოველგვარ სიურპრიზს ელოდება მეტოქე, ყოველთვის გამოცანაა მოწინააღმდეგეთათვის მისი ტაქტიკური ჩანაფიქრი. სწორედ ამიტომაა, რომ მას ხშირად „ეშმაკ ქართველსაც“ უწოდებდნენ.

სამწუხაროდ, ყველა სპორტსმენის ცხოვრებაში ბოლოს და ბოლოს დგება დრო, როცა მან უნდა დატოვოს დიდი სარბიელი. ასეთი პერიოდი დადგა კოსტავას სპორტულ ცხოვრებაში. და აი, როცა კოსტავამ გადაწყვიტა კედელზე ჩამოკიდოს თავისი „მრავალჭირნახული“ დაშნა, მან კვლავ ერთი წარმატება იზეიმა.

რიგაში ახლახან დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატი. ამ უაღრესად რთულ შეჯიბრებაში ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენელმა კოსტავამ ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ისეთი დიდი სპორტსმენისთვის, როგორიც კოსტავაა, შეიძლება II ადგილს წარმატებაც ვერ ვუწოდოთ, მაგრამ, ვიმეორებთ, კოსტავამ უკვე გადაწყვიტა დიდი სარბიელის მიტოვება, ამასთან, შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს უძლიერესი დაშნით მებრძოლები: გ. კრისი, ვ. მონძოლევსკი, ს. პორომონოვი, ი. ვოლეტოვი, ვ. დონინი... ყველა ეს სპორტსმენი მან უკან ჩამოიტოვა და I ადგილი მხოლოდ ახალგაზრდა კიეველ კოლეგას ვ. ანიკინს დაუთმო. განსაკუთრებით ლამაზი იყო მისი პაექრობა ტოკიოს ოლიმპიადისა და მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონთან გ. კრისთან. ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორი მაღალი კლასის მოფარიკავის უშეღავათო დავა, რომელშიც გამარჯვება ქართველ სპორტსმენს დარჩა. კოსტავამ არავითარი იმედი არ დაუტოვა საბჭოთა დაშნით მოფარიკავეთა ამომავალ ვარსკვლავს პორომონოვს. ამ ბრძოლაში გურამმა ყველაფრით დაჩაგრა მეტოქე. ასეთივე დამაჯერებელი იყო კოსტავას გამარჯვება მსოფლიოს ექს-ჩემპიონებთან ბ. ხაბაროვთან და ი. ვოლეტოვთან.

• • •

სურათზე: გ. კოსტავა.

მ. ზარგარიანის ფოტო.

როგორც ვიტყობინებოდით, კუბის დედაქალაქ ჰავანაში დამთავრდა მსოფლიოს მორიგი პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. უმაღლესი ჯილდო მეორედ მოიპოვა ბულგარელმა მ. გიგოვამ — იგი აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

• • •

სურათზე: მ. გიგოვა ბურთით ვარჯიშის დროს.

ამას წინათ მოსკოვში, „კუნცევოს“ დარბაზში გაიმართა ხელბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მატჩი მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდსა და გფრ-ს „გრიუმ-ვაისს“ შორის. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 12:11.

• • •

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ე. უსპენსკის ფოტო.
(„კომსომოლსკაია პრავდა“)

ემზადებიან ჩემპიონატისთვის

ტარტუ. აქ დამთავრდა უმაღლესი ლიგისა და I ჯგუფის კალათბურთელ ვაჟთა ტრადიციული ტურნირი ადგილობრივი გაზეთის „ედასის“ პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობდა 6 კოლექტივი: „სპარტაკი“ (ლენინგრადი), „სტატიბა“ (ვილნიუსი), „კალევი“ (ტარტუ), რტი (მინსკი), ვეფ (რიგა) და „ავტომობილისტი“ (ვოროშილოვგრადი). ტურნირი საინტერესოდ ჩატარდა და რა გასაკვირია, რომ ესტონეთის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სპორტის სასახლეში შეჯიბრების დღეებში ტევა არ იყო.

სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონმა, ლენინგრადის „სპარტაკმა“ დიდი გაჭირვებით წაართვა ქულა მასპინძლებს — 68:67, მაგრამ მომდევნო შეხვედრაში თვითონ იწვნია მარცხის სიმწარე ლიტველებისგან — 73:75. სამწუხაროდ, ლენინგრადელებმა ვერ დაამთავრეს ტურნირი და დროზე ადრე დატოვეს ტარტუ. შინ მათ საპასუხისმგებლო მატჩი ელოდათ ფინეთის ნაკრებთან.

გარდამავალი პრიზის ბედი გადაწყდა „კალევისა“ და „სტატიბას“ კალათბურთელთა ორთაბრძოლაში. ესტონელებმა უმნიშვნელო უპირატესობით მოიგეს შეხვედრა (83:81) და I ადგილზეც გავიდნენ. „კალევი“ ზედიზედ მეორედ გახდა პრიზის მფლობელი.

კაუნასი. რამდენიმე დღის წინ საზღვარგარეთული ტურნედან შინ დაბრუნდნენ კაუნასის „ჟალგირისის“ კალათბურთელები. მათ სამი შეხვედრა გამართეს მალის რესპუბლიკაში და სამივეში იმარჯვეს — 77:42, 83:54, 69:57.



მუშა-სპორტსმენთა სპარტაკიადა

ცხინვალში დამთავრდა „განთიადის“ სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს VII სპარტაკიადა. ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად იბრძოდნენ სამკერვალო ფაბრიკის, ხე-ტყის კომბინატის, სამშენებლო სამმართველოს, ვიბრომანქანის, ემალსადენის ქარხნებისა და ელექტროქსელის კოლექტივები.

მუშა-სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, შაშსა და ტყვიის სროლაში.

სპარტაკიადა ორ ეტაპად ჩატარდა. ჭადრაკში გაიმარჯვა სამშენებლო სამმართველომ. სამკერვალო ფაბრიკის წარმომადგენლები ძლიერნი იყვნენ შაშსა და მაგიდის ჩოგბურთში. ფრენბურთსა და ტყვიის სროლაში I ადგილი არავის დაუთმეს ვიბრომანქანის ქარხნის სპორტსმენებმა. კალათბურთელთა შეჯიბრებაში თავი ემალსადენის ქარხნის გუნდმა გამოიჩინა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში „განთიადის“ ჩემპიონი გახდა ვიბრომანქანის ქარხანა. II ადგილზეა სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი, III — ხე-ტყის კომბინატი.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

დამაკმაყოფილებლად შეაფასეს

ამას წინათ გალის რაიონული კულტურის სახლის სალექციო დარბაზში გაიმართა დოსააფის რაიონული ორგანიზაციის IX კონფერენცია.

საანგარიშო პერიოდში დოსააფის რაიონული კომიტეტის მიერ გაწეულ მუშაობაზე მოხსენებით გამოვიდა კომიტეტის თავმჯდომარე ი. ჩიქვატია.

კამათში მონაწილეობდნენ კომკავშირის გალის რაიკომის მდივანი ლ. შენგელია, დოსააფის სპორტულ-ტექნიკური კლუბის უფროსი ი. კახიანი, ნაბაკევის საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციის მდივანი ბ. ზურაია, წვევამდელი რ. ჩემინავა, აჩიგვარის მეურნეობა-ტექნიკუმის პირველადი ორგანიზაციის წევრი გ. ლაგვილავა, პარტიის რაიკომთან არსებული რევოლუციის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე ა. გაბლაია.

კონფერენციამ დოსააფის რაიონული კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა. აირჩიეს რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა. დოსააფის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ი. ჩიქვატია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომის მეორე მდივანი უ. ჩაკაბერია და აფხაზეთის დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის უფროსი ინსტრუქტორი ა. ბოლტენკოვი.

ხ. პაპასქუა

გალი.



სლალომის ტრასაზე.

ო. ბერეჩიკიძის ფოტო.

სტარტზე გამოვა 10 ათასი სპორტსმენი

10 თვე დარჩა იმ დღემდე, როცა საყვირების საზეიმო ხმა გვამცნობს მიუნჰენის XX ოლიმპიური თამაშების გახსნას.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების მომზადება და ჩატარება — ეს გრანდიოზული სამუშაოა. საკმაო არაა მარტო სტადიონებისა და სხვა სპორტულ ნაგებობათა მთელი კომპლექსის მომზადება თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ დონეზე, საჭიროა თვით ქალაქიც მოემზადოს ამ დიდი მოვლენისთვის.

მიუნჰენში გაჰყავთ ახალი ქუჩები და სარკინიგზო ხაზები, შენდება ხიდები და სადგურები, გვირაბები, მიწისქვეშა გასასვლელები, ახალი სასტუმროები.

უზარმაზარი ფართობი უკავია ოლიმპიურ ქალაქს, რომლის ტერიტორიაზეც შენდება ახალი სპორტული ნაგებობანი, საცხოვრებელი სახლები სპორტსმენთათვის, მათი თანმხლები პირებისთვის, ჟურნალისტებისთვის, ტექნიკური პერსონალისთვის, პრეს-ცენტრისთვის და ა. შ.

მთელ ამ მოსამზადებელ სამუშაოებს ხელმძღვანელობს ოლიმპიური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ოლიმპიური ქალაქის მახლობლად მდებარეობს.

სწორედ აქ შედგა შეხვედრა საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტთან — ვილი დაუმესთან. პირველი შეკითხვა ეხება იმ საგანგებო ამოცანებს, რომლებიც დაისახა XX ოლიმპიადის ორგანიზატორთა წინაშე.

— ოლიმპიური თამაშები პირველ რიგში სპორტული შეჯიბრებებია, — ამბობს ვ. დაუმე, — ამიტომ ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სტუმრებს საამისოდ საუკეთესო პირობები შევუქმნათ. ლაპარაკია როგორც სპორტულ ნაგებობებზე, ისე ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მონაცემების, გაზომვის ახალი ტექნიკის შექმნაზე. ეს, აგრეთვე, ეხება საწვრთნელად განკუთვნილ ნაგებობებსაც, მოხერხებული ოლიმპიური ქალაქის შექმნასაც. იქ სპორტსმენებმა ჩინებულად უნდა იგრძნონ თავი, რათა ყველაფერი საუკეთესოდ იქნას მოწყობილი მათი შეჯიბრებებში გამოსვლებისთვის.

მიუნჰენში ჩატარდება „მოკლე გზათა" ოლიმპიური თამაშები. სპორტსმენებს არ დასჭირდებათ ბევრი დროს დაკარგვა, რათა მიაღწიონ სტადიონს ან საწვრთნელ ბაზას, რასაც წინა ოლიმპიადებზე ჰქონდა ხოლმე ადგილი.

ვრცელი იქნება ოლიმპიადის კულტურული პროგრამაც. ხელოვნების სპორტთან შეერთების იდეა ჯერ კიდევ 80 წლის წინ აღაფრთოვანებდა პიერ კუბერტენს, რომელმაც ახალი სიცოცხლე შთაბერა ძველი საბერძნეთის ოლიმპიურ თამაშებს.

ოლიმპიური თამაშების პერიოდში მიუნჰენი თავის თეატრებში, საგამოფენო დარბაზებში, გალერეებში მოიწვევს მთელი მსოფლიოს ხელოვნების გამოჩენილ წარმომადგენლებს. აქ გამოვლენ სახელმოხვეჭილი ორკესტრები, ცნობილი თეატრები, გაიხსნება მრავალი გამოფენა. ვ. დაუმე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სსრ კავშირი ფართო პროგრამით მიიღებს მონაწილეობას ოლიმპიადის კულტურულ ცხოვრებაში.

— სპორტი მჭიდროდაა დაკავშირებული მეცნიერების მრავალ სფეროსთან — მედიცინასთან, პედაგოგიკასთან, სოციოლოგიასთან, — განაგრძობს ვ. დაუმე. — ამიტომ ოლიმპიადის დღეებში მიუნჰენში გაიმართება სამეცნიერო კონგრესი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის მეცნიერებიც. განიხილება სპორტთან უშუალოდ დაკავშირებული მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა. ყველაფერი ეს ჩადგება ოლიმპიური იდეის სამსახურში, რომელიც გულისხმობს მშვიდობასა და მეგობრობას სპორტსმენებსა და ხალხებს შორის.

მიუნჰენის ყველაზე დიდი სპორტული ნაგებობა — ოლიმპიური სტადიონი საზეიმოდ გაიხსნება მომავალი წლის 24 მაისს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩით. ამ დღეს ოლიმპიურ სტადიონს ექნება პირველი გამოცდა, მათ შორის, სატრანსპორტო პრობლემებისა და დიდი რაოდენობის მაყურებელთა მიღების მხრივაც.

რა სიახლეებს გვპირდებიან ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები შეჯიბრების ჩატარების, სპორტულ ნაგებობათა განლაგებისა და მშენებლობის მხრივ?

— ყველაფერი ამის შესახებ, რომ მოგითხროთ, გრძელი მოხსენება გამოვა, — ამბობს ვ. დაუმე. მან მოიყვანა მხოლოდ რამდენიმე მაგალითი. მიუნჰენში არ გამოიყენებენ რულეტს სიგრძის გასაზომად. ეს მოხდება ელექტრონიკის საშუალებით, ოპტიკურად. საერთოდ, ელექტრონიკა და გამომთვლელი მანქანები ფართოდ იქნება გამოყენებული ოლიმპიურ თამაშებში.

შეიქმნება შიდასაოლიმპიადო ტელეხედვა, რაც ჟურნალისტებს საშუალებას მისცემს თავიანთი სამუშაო ადგილებიდან თვალი ადევნონ ყველა სხვა ასპარეზობას. საამისოდ საკმარისი იქნება ტელევიზორის შესაბამისი არხის ღილაკზე თითის დაჭერა.

რამდენ მონაწილეს და სტუმარს მოელის საორგანიზაციო კომიტეტი მიუნჰენში?

— თამაშებში მონაწილეობას მიიღებს 10 ათასამდე სპორტსმენი, რომლებსაც თან უნდა ახლდეს 2 ათასამდე ხელმძღვანელი, მწვრთნელი, ექიმი და ა. შ., — პასუხობს ვ. დაუმე. — ისინი იცხოვრებენ ოლიმპიურ ქალაქში. მოველით აგრეთვე 4 ათას ჟურნალისტს. ამას კიდევ უნდა დაემატოს 2,5 ათასი ტექნიკური მუშაკი.

კავშირგაბმულობის თანამედროვე პირობები საშუალებას იძლევა ოლიმპიური თამაშების სატელევიზიო გადაცემები მოეწყოს დედამიწის ნებისმიერ პუნქტში. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ვარაუდობს, რომ მიუნჰენის სტადიონებსა და სპორტულ მოედნებზე გამართულ ბრძოლას ტელევიზიით ნახავს დაახლოებით 1,5 მილიარდი ადამიანი 100-120 ქვეყანაში.

ვ. დაუმემ გვაცნობა, რომ სულ ახლახან დამთავრდა ხელშეკრულება „ინტერვიზიასთან" ოლიმპიადიდან სატელევიზიო გადაცემათა თაობაზე.

გადაწყდა შეიქმნას ოფიციალური ოლიმპიური ფილმი. ვ. დაუმეს სიტყვებით, საამისოდ გამოძებნილია ახალი ფორმა. ფილმს შექმნის არა ერთი, არამედ 8-9 ცნობილი რეჟისორი, რომელთაგან ერთ-ერთი საბჭოთა ქვეყნიდან იქნება.

მისასალმებელია ყველაფერი ის, რაზეც საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ლაპარაკობდა. მაგრამ მიუნჰენში მაინც ხდება ამბები, რომლებიც ჩრდილს აყენებენ მომავალ ოლიმპიადას. ამ ქალაქში შეუფერხებელ მოქმედებას განაგრძობენ რადიოსადგურები „თავისუფალი ევროპა"-და „თავისუფლება", რომლებსაც ამერიკული დაზვერვა აფინანსებს. ისინი წამლავენ ეთერს გაბოროტებული ცილისწამებით სოციალისტური ქვეყნების მიმართ. უდავოა რომ ეს ოლიმპიური თამაშების იდეათა უხეში დათრგუნვაა.

რას ფიქრობს ამის თაობაზე ოლიმპიური საორგანიზაციო კომიტეტი?

ვ. დაუმემ განაცხადა, რომ საორგანიზაციო კომიტეტს „შეზღუდული შესაძლებლობები" აქვს. მიუხედავად ამისა,—განაგრძო მან,—ყველაფერი კეთდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას „ოლიმპიური მშვიდობა", ან, სულ ცოტა, „ოლიმპიური ზავი" ეთერში.

ოლიმპიური საორგანიზაციო კომიტეტის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლების მხრივ გადადგმულია ერთობლივი ნაბიჯები, ორივე ამერიკულ რადიოსადგურთან მოხდა მოლაპარაკება. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო რწმუნება, რომ „რადიოსადგურები უშუალოდ ოლიმპიური თამაშების წინ და მათი მსვლელობისას პატივს სცემენ ოლიმპიურ წესებს და ოლიმპიურ მშვიდობას".



საკდესის კორესპონდენტის საუბარი XX ზაფხულის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტთან ვილი დაუმესთან

გარკვეულ შეშფოთებას იწვევს ის ამბავიც, რომ ემიგრანტთა მრავალრიცხოვან ორგანიზაციებს, რომლებსაც ბუდე აქვთ მიუნჰენში, შეუძლიათ ხელი შეუშალონ ოლიმპიადის ნორმალურ მსვლელობას. თვით ვ. დაუმე არ გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას.

— ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც სერიოზულ ყურადღებას ვაქცევთ, — ამბობს იგი. — მზადდება სპეციალური კანონი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს „ოლიმპიური მშვიდობა". მე იმედი მაქვს, რომ ამ კანონპროექტს ხმათა უმრავლესობით დაამტკიცებენ ბუნდესტაგში. ვღებულობთ სხვა ზომებსაც.

— ჩვენ სიტყვა მივეცით საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, — ხაზი გაუსვა დასასრულ ვ. დაუმემ, — რომ მიუნჰენი ყველაფერს გააკეთებს ჩვენი სტუმრების უშიშროების უზრუნველსაყოფად, ეს კი ნიშნავს, დავიცვათ სტუმრები ყოველგვარი მტრული მოქმედებისგან ემიგრანტული ორგანიზაციების მხრივ. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი კარგი მასპინძლები ვიყოთ.

ი. ბორისოვი,
(საკდესი).

[illegible]

✦ ცხინვალი

აქ გაიმართა ქალაქის სკოლების მასწავლებელთა VI სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ტყვიის სროლა და ჭადრაკი. სპარტაკიადაში წარმატებით იასპარეზა 1 ლი საშუალო სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა, რომელმაც 1 ადგილები მოიპოვა მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში და აგრეთვე, კომპლექსურ ჩათვლაში. მოჭადრაკეთა და ტყვიის მსროლელთა შეჯიბრებებში გაიმარჯვეს მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებლებმა. მათვე კომპლექსურ ჩათვლაში 11 ადგილი დაიკავეს.

• • •

დამთავრდა რაიონის პირველობა ფრენბურთში. ქალთა კოლექტივებში ყველას აჯობეს ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტებმა, ვაჟებში გამარჯვება იზეიმეს სოფელ დმენისის სპორტსმენებმა.

• • •

ადგილობრივი და გორის ბავშვთა სპორტსკოლების ფრენბურთელებმა ამხანაგური შეხვედრები გამართეს. უმცროსი ასაკის გოგონებში გაიმარჯვეს სტუმრებმა, უფროსი ასაკის გოგონებში კი — მასპინძლებმა.

ვ. მელქაძე.

[illegible]

ფიზკულტურის კოლექტივებში

შრომაშიც და სპორტშიც მოწინავენი

სოფელ ანგისის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი დიდი და ძლიერი ფიზკულტურული კოლექტივია ხელვაჩაურის რაიონში (დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი შ. ჩხაიძე). მეურნეობის მუშაკები ყოველწლიურად სასახელო შრომით მაჩვენებლებს აღწევენ. მათ არც წლეულსაც შეურცხვენიათ თავი. დიდ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ აქაურ ფიზკულტურელებსაც.

ახალგაზრდების თავდადებულ შრომას მეურნეობის დირექცია სათანადოდ აფასებს — შრომის, გართობისა და დასვენების ყველა პირობას უქმნის, ეხმარება სექციების საქმიანობაში, ინვენტარით უზრუნველყოფაში, სპორტბაზის კეთილმოწყობაში, შეჯიბრებათა გამართვაში. ამ ზრუნვის ნაყოფია ის, რომ შრომაში მოწინავე ახალგაზრდებს სპორტშიც კარგი მაჩვენებლები აქვთ.

აი, რა გვიამბო მეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტმა ლ. ჩხობაძემ.

— ჩვენს მეურნეობაში 257 ფიზკულტურელია. ისინი რეგულარულად ვარჯიშობენ ფეხბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ფრენბურთის, ლელობურთის, ჭადრაკის, შაშისა და ჭიდაობის სექციებში. სოფლის სპორტსმენებს საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობენ მუშები ო. კაკაბაძე, რ. წულაძე, ა. მიქელაძე, ზ. შველიძე, სპორტის ოსტატი ნ. ჭანუყვაძე, კლუბის გამგე ნუნუ მალაყმაძე და სხვ. გვყავს ერთი მოზრდილთა და ორი ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი, რომლებიც აჭარის პირველობაზე გამოდიან. ნორჩმა ფეხბურთელებმა „ტყავის ბურთის პრიზის" გათამაშებაში II ადგილი დაიკავეს, ამჟამად კი ისინი წარმატებით მონაწილეობენ აჭარის ჩემპიონატში...

მუშა, სპორტის ოსტატი ი. ზეინალოვი აჭარის მძლეოსანთა ნაკრების წევრია, ხოლო ოცამდე სპორტსმენი რაიონის ნაკრები გუნდების ღირსებას იცავს.

მეურნეობის კალათბურთელებს, ფრენბურთელებს, ტყვიის მსროლელებს, ქართული და კლასიკური სტილით მოჭიდავეებს რაიონში უძლიერესის სახელი აქვთ მოხვეჭილი. ქალიშვილები თამარ დიასამიძე, ნუნუ კორძაძე, თამარ დარჩია, ნუნუ მახვილაძე რაიონის ფრენბურთელთა და კალათბურთელთა ნაკრები გუნდების წევრები არიან.

მეურნეობის ეკონომისტი, სპორტის ოსტატი ლ. მავთვალაძის მიღწევები მთელს რესპუბლიკაშია ფართოდ ცნობილი: აჭარის ხუთგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში არაერთხელ გამოსულა საპრიზო ადგილზე რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებში. ლერი უნარიანად ხელმძღვანელობს მეურნეობის ფიზკულტურის საბჭოს.

ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმიანობის მაღალმა დონემ, ასპარეზობებში ხშირმა მონაწილეობამ განაპირობა ის, რომ ფიზკულტურული კოლექტივი ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს თანრიგოსანთა მომზადების გეგმა-ვალდებულებებს. წლეულს აქ მომზადდა 1 სპორტის ოსტატი, 14 მეორე და 22 მესამე თანრიგის სპორტსმენი. ასევე გადაჭარბებით შესრულდა მსაჯთა და საზოგადოებრივ მწვრთნელთა მომზადების გეგმა.

ახლა, როცა შემოდგომა იწურება, საგაისო უხვი მოსავლისთვის იწყება ზრუნვა. მეურნეობის დირექციამ, პარტიულმა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა სპორტულ ღონისძიებათა გეგმებიც დასახეს, რომ კიდევ უფრო აამაღლონ თავიანთი მაჩვენებლები შრომასა და სპორტში.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ხელვაჩაურის რაიონი,
სოფელი ანგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეკარე განსაკუთრებული ფიგურაა

თავის დროზე მე მომიხდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის კარის დაცვა, მონაწილეობა მიმიღია საერთაშორისო შეხვედრებში და მას შემდეგ ფეხბურთს არ მოვცილებივარ. გარკვეული ღვაწლი მიმიძღვის ისეთი მეკარეების აღზრდაში, როგორიც იყვნენ ა. ტყებუჩავა, ვ. მარღანია, მ. პირაევი, ს. კოტრიკაძე და სხვ. ფეხბურთთან ახლოს ვარ ახლაც და ამიტომ მინდა კიდევ ერთხელ გამოვთქვა ჩემი რამდენიმე მოსაზრება მეკარეთა შესახებ.

არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ საბჭოთა გუნდები ახლა პირველხარისხოვან მეკარეთა დიდ დეფიციტს განიცდიან. მინდვრის მოთამაშეები ასე თუ ისე ცვლიან ერთმანეთს, შეუძლიათ სხვადასხვა ფუნქციის შესრულება, მეკარე კი ერთადერთია. მას საჭიროების დროს მხოლოდ ისევ მეკარე თუ შეცვლის.

ჩემი აზრით, მეკარეთა მზადება და წვრთნა ჩვენი საფეხბურთო პრაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული, ჩამორჩენილი უბანია. მეცადინეობა მხოლოდ კარში, სპეციალური მოსამზადებელი ვარჯიშების უკმარი გამოყენება, ერთფეროვნება — აი, ის ძირითადი ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლიან უმაღლესი კლასის მეკარეთა აღზრდას. მწვრთნელები მეკარეებს, როგორც წესი, ავარჯიშებენ სხვა მოთამაშეებთან ერთად, არ ითვალისწინებენ მათი მზადების სპეციფიკას და ზოგჯერ ისეთ ვარჯიშებს ურჩევენ, რომლებიც არც საინტერესოა და არც სასარგებლო.

როგორ ხდება პრაქტიკულად ჩვენში მეკარეთა წვრთნა? იგი დგას კარში, თავდამსხმელები კი ურტყამენ. ესაა და ეს. მეკარის ნამდვილი წვრთნისთვის კი საჭიროა სპეციალური ვარჯიშები, უნდა გამოიყოს საგანგებო დრო, გათვალისწინებული იქნეს თვით სპორტსმენის ინდივიდუალური მონაცემები, შესაძლებლობანი და ა. შ.

მეკარეს სჭირდება სპეციფიკური მონაცემები. მას უნდა ჰქონდეს სათანადო სიმაღლე, საუცხოო მხედველობა, რეაქცია, მხტომელობა, მანძილისა და მომენტის გრძნობა, იცოდეს მოპირდაპირე თავდამსხმელების ძლიერი და სუსტი მხარეები, ამოიცნოს ყოველი მათი სვლა, უხელმძღვანელოს თავის მცველებს, მუდამ იყოს მაქსიმალურად მობილიზებული და ყურადღებიანი.

ა. დოროხოვი

• •

მაგრამ მარტო მონაცემები არ კმარა. სწრაფი რეაქცია გამომუშავდება ხანგრძლივი ვარჯიშით. მეკარემ არასოდეს უნდა დაკარგოს მხედველობიდან ბურთი, სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, თუნდაც სათამაშო მინდვრის ფარგლებს გარეთ. ხშირად ამბობენ, დარტყმის მომენტში მეკარე ვერ ხედავდა ბურთს, ვინაიდან მოთამაშე ეფარებოდაო. ეს არაა გასამართლებელი არგუმენტი, მეკარე ყოველთვის უნდა ხედავდეს ბურთს. ზოგი მეკარე ბურთს თვალს ადევნებს მხოლოდ დარტყმის მომენტამდე, შემდეგ კი, ემზადება რა მისი მოგერიებისთვის, კარგავს მხედველობიდან. ამიტომაა, რომ ასეთ შემთხვევაში იგი ავტომატურად, ბრმად, სავარაუდოდ მოქმედებს და ეს ერთ-ერთ ყველაზე დიდი ნაკლოვანებად ითვლება.

სანამ შესრულდება დარტყმა და ბურთი მოძრაობას დაიწყებს კარისკენ, მეკარემ უნდა შეაფასოს კარში დამრტყმელის ფეხის მდგომარეობა, გამოცდილებამ და უნარმა მას უნდა უკარნახოს დამრტყმელის განზრახვათა სწრაფი ამოცნობა. ყოველგვარ სათამაშო პოზიციაში მეკარე ვალდებულია ბურთის მიმართ პირისახით იდგეს, შეეცადოს მკერდით პერპენდიკულარულად შეხვდეს ბურთის მიმართულებას.

ყოველმა მეკარემ ზედმიწევნით უნდა იცოდეს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, შეძლოს პირველი გამოავლინოს, ხოლო მეორე დამალოს, შეუმჩნეველი დატოვოს მეტოქისთვის.

კარში ადგილის შერჩევის უნარი ძვირფასი მონაცემია მეკარისთვის. მან უნდა „იგრძნოს“ ძელები თავისით, შეუხედავად, თითქმის ინსტინქტით, ხოლო წინ გამოსვლისას და მეტოქის ფეხებიდან ბურთის აცლისას იცოდეს იმ მომენტის შერჩევა, როცა თავდამსხმელი კრიტიკულ მდგომარეობაშია და შესაძლებლობა იქმნება მიუსწრო.

თანამედროვე ფეხბურთის რთულ ტაქტიკურ სიტუაციებში გარკვევა, როცა საჯარიმო მოედანზე მოთამაშეთა დიდი თავშეყრაა, განსაკუთრებით რთულია სწორად. უშეცდომოდ თამაში წინ გამოსვლისას. აქ მცირეოდენ შეცდომასაც კი შეიძლება დიდი უსიამოვნებანი მოჰყვეს. როგორც კი განელდება სახიფათო ვითარება, მეკარემ წამსვე უნდა მოსთხოვოს თავის მცველებს დატოვონ საჯარიმო მოედანი და მისცენ თავისუფალი მოქმედების საშუალება.

ზევით აღვნიშნეთ, რომ მეკარეს აუცილებლად ესაჭიროება გარკვეული მონაცემები, მაგრამ მხოლოდ ბუნებრივი თვისებების ხარჯზე იგი სასურველ სიმაღლეებს ვერ მიაღწევს. მეკარემ ყველაზე მეტი უნდა ივარჯიშოს, რომ გამოიმუშაოს პოზიციის გრძნობა, დახვეწოს რეაქცია, დაეუფლოს ბურთის აღების ტექნიკას, გაერკვეს ტაქტიკურ სირთულეებში. საამისოდ საჭიროა უდიდესი შრომისუნარიანობა, წლობით ვარჯიში, მაქსიმალური მონდომებით წვრთნა. მწვრთნელს უნდა ახსოვდეს, რომ მეკარის ვარჯიში მინდვრის მოთამაშეებთან შედარებით გაცილებით რთული და მრავალფეროვანია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მეკარეს აკრობატული ვარჯიშებიც ესაჭიროება, სიმაღლეზე ხტომაც და სხვა მრავალი.

მეკარეს კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული თავისი ძნელი როლი, ღრმად იყოს დარწმუნებული საკუთარ ძალაში, დღენიადაგ ზრუნავდეს თუნდაც უმცირესი ხარვეზების გამოსწორებისთვის.

მაყურებელს ხშირად მოკლედ და ლაკონიურად გამოაქვს განაჩენი: მეკარე შეცდაო. ამ შემთხვევაში მას მხედველობაში აქვს შეცდომა საერთოდ, ესე იგი ან დაგვიანებული ნახტომი, ან ცუდად მოგერიებული ბურთი, ან უსწოროდ შერჩეული ადგილი. მაგრამ თვით მეკარისთვის შეცდომა არ არსებობს ასეთ მთლიანობაში, და თუ იგი მართლა შეცდა, ეს შეცდომა უნდა დაიყოს შემადგენელ ელემენტებად, თითოეული მოძრაობა გულდასმით იქნეს გაანალიზებული, შესწავლილი.

მეკარეები სხვადასხვაგვარად ემზადებიან მომავალი შეხვედრებისთვის. ბევრს უყვარს განცალკევება, საკუთარ თავთან მარტო დარჩენა, ზოგიერთი თავს არიდებს იმ საუბარს, რომ საჭიროა თამაში უკიდურესი ყურადღებით და რაც შეიძლება კარგად. მეკარემ ეს ისედაც კარგად იცის, ამიტომ მისთვის უფრო სასარგებლოა გონების თვალით წარმოიდგინოს მომავალი თამაში, მისი მოსალოდნელი სიტუაციები, გაიხსენოს მოწინააღმდეგეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, ვინ როგორ, რა დროს და რა მანძილიდან ურტყამს კარში. ამით მეკარე თითქოს უკვე მონაწილეობს თამაშში.

მატჩის შემდეგ კვლავ იმართება საუბარი საკუთარ თავთან, კეთდება მკაცრი, მომთხოვნი ანალიზი, ხდება შეცდომათა მიზეზების ამოხსნა და ა. შ. ამ დროს მეკარე თვითაა საკუთარი თავის მსაჯული.

მეკარეს ეკუთვნის უკანასკნელი სიტყვა დაცვაში და მისი შეცდომა პრაქტიკულად თითქმის გამოუსწორებელია. ამიტომ ყოველი გადაწყვეტილება მან უნდა მიიღოს გადაჭრით, სწრაფად, დაუყოვნებლივ.

მეკარის მოედანი ერთობ მცირე ტერიტორიაა მოწინააღმდეგე და საკუთარი მოთამაშეების თავშეყრის დროს. კარიდან წინ გამოსვლისას ყველაფერი წყდება წამის მეათედებში და მან უნდა იცოდეს როდის რა გააკეთოს, უხელმძღვანელოს თავის მოთამაშეებს, ხშირ შემთხვევაში დაიოკოს ემოციები. ნერვებმა ასეთი სიძნელეებისას არ უნდა უღალატოს სპორტსმენს.

თუ მოხდა ისე, რომ მეკარემ უცებ დაკარგა ეს კონტროლი, დაკარგა საკუთარი თავის რწმენა, ეს უმალვე გადაეცემა პარტნიორებსაც და ხიფათს თავიდან ვეღარ აიცილებ.

მინდვრის მოთამაშეების (განსაკუთრებით, მცველების) მიმართ ვიტყვით, რომ ისინი მუდამ მჭიდრო კონტაქტში უნდა იყვნენ მეკარესთან, დაეხმარონ და გაამხნევონ იგი შეცდომისას. მათს მხარდაჭერას მეკარე განსაკუთრებული, „მეექვსე გრძნობით“ აღიქვამს.

ამიტომ ვამბობთ, რომ მეკარე განსაკუთრებული ფიგურაა ფეხბურთში და მას საგანგებო, საგულდაგულო სპეციფიკური მზადება ესაჭიროება.

ა. დოროხოვი,
სპორტის ოსტატი.

გამორჩენილი ფეხბურთელის ხსოვნას...

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გრძელდებოდა ვეტერან ფეხბურთელთა ტურნირი, მიძღვნილი სპორტის დამსახურებული ოსტატის მ. იამანიძის ხსოვნისადმი.

პირველად მინდორზე გამოვიდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის ფეხბურთელები.

ლენინგრადელები ორჯერ იყვნენ წინ — 2.0 და 3:1, მაგრამ მატჩი საბოლოოდ ფრედ დამთავრდა — 3:3 ბურთები გაიტანეს — ლენინგრადიდან ბუგაევმა და გუსევმა (2), ხოლო მოსკოველთა მხრივ — კრუტიკოვმა, დემენტიევმა და კესარევმა.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა თბილისისა და კიევის ვეტერანთა შეხვედრა.

თბილისელებმა კარგად ითამაშეს კიევის ნაკრების წინააღმდეგ და გაიმარჯვეს — 5:1. 2 2 ბურთი გაიტანეს მეტრეველმა და ხუნდაძემ, ერთი — დათუნაშვილმა საპასუხო გოლის ავტორი იყო პერშინი.

დღეს დასკვნითი მატჩებია. 13 საათზე თამაშობენ ლენინგრადი — კიევი, ხოლო — 15 საათსა და 15 წუთზე — მოსკოვი — თბილისი.

ძნელად, რომ იცნოთ ამ სურათზე აღბეჭდილი ვეტერანი ფეხბურთელი. ესაა წარსულში სახელმოხვეჭილი ლენინგრადელი მეკარე ლეონიდ ივანოვი, რომლის ბრწყინვალე თამაშს, ვირტუოზულ ტექნიკას არაერთხელ მოვუყვანივართ აღტაცებაში ლ. ივანოვი ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე იყო საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში. მაგრამ წლებს თავისი მიაქვს და აი, გამოჩენილი მეკარე ასეთი „გაბარიტებით“ წარმოგვიდგა ვეტერანთა თბილისის ტურნირზე, თუმცა, უნდა ითქვას, მატჩში თბილისელებთან მან რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო და გოლი მხოლოდ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმიდან გაუშვა.

• • •

სურათზე: ლ. ივანოვი თბილისის „დინამოსთან“ მატჩში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

ბალახიდან ყინულზე

იყო დრო, როცა სპორტის ჭეშმარიტად რუსული სახეობის — ბურთიანი ჰოკეის წარმომადგენლები ციგურებს ბუცებზე ცვლიდნენ. ფეხბურთის თამაში გაზაფხულზე და ზაფხულში ეხმარებოდა მათ სპორტული ფორმის შენარჩუნებაში, დაცვისა და შეტევის ახალი ტაქტიკური ვარიანტების ძებნაში. მაგრამ უკვე სამი წელიწადია ყინულის რაინდები ფაქტიურად არ იცვლიან ამპლუას. ყინულიდან ისინი გადადიან მწვანე გაზონზე, სადაც სპორტის ოლიმპიურ სახეობაში — ბალახიან ჰოკეიში ასპარეზობენ უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად. თავიანთ პირველ „საზაფხულო“ სეზონში მოსკოვის „დინამოს“ ჰოკეისტებმა გაიმარჯვეს არაოფიციალურ, ეგრეთ წოდებულ საცდელ შეჯიბრებებში, შემდეგ კი ზედიზედ ორი სეზონის მანძილზე სსრ კავშირის ჩემპიონების ოქროს მედლები მოიპოვეს ფინალური ტურნირების მასპინძლებმა — ულიანოვსკის „ვოლგის“ სპორტსმენებმა. ორჯერ ვერცხლის პრიზიორები იყვნენ ალმა-ათის დინამოელები. მოსკოვის დინამოელებს რა დაემართათ? მათ გადაწყვიტეს საზაფხულო ჰოკეისთვის უარი ეთქვათ. ბურთიან ჰოკეიში საბჭოთა კავშირის ათგზის ჩემპიონების, აგრეთვე, ქვეყნის ნაკრების მწვრთნელმა ვ. ტროფიმოვმა ჩათვალა, რომ ეს ორი თამაში შინაარსით ერთმანეთისგან განსხვავდება, ხოლო თუ ჩვენ სპორტსმენებს სურთ მწვანე გაზონზე დიდი წარმატების მიღწევა, მათთვის აუცილებელია სერიოზული სპეციალიზაცია ბალახის ჰოკეიში. პირველ რიგში საჭიროა ახალგაზრდული რეზერვების ძებნა შუა აზიასა და ყაზახეთში, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, სადაც კლიმატური პირობები საშუალებას აძლევენ სპორტსმენებს თითქმის მთელი წლის მანძილზე ითამაშონ ბალახის ჰოკეი. მაგრამ ეს ძირითადად მომავლის პრობლემებია. ახლა კი უდავოა, რომ ბალახის ჰოკეის ყველა მოთამაშე ემზადება დიდ ყინულოვან მინდორზე ასპარეზობისთვის.

14 გუნდი ამჟამად ოცდამეთოხედ იბრძოლებს ქვეყნის უძლიერესი კოლექტივის ტიტულისთვის. სიის სათავეში არიან საკავშირო შეჯიბრებებში ათგზის გამარჯვებულნი სვერდლოვსკის არმიელები და მოსკოვის დინამოელები, ბრინჯაოს პრიზიორები — ალმა-ათის დინამოელები, აგრეთვე გუნდები: ასკ (ხაბაროვსკი), „ვოლგა“ (ულიანოვსკი), „ენისეი“ (კრასნოიარსკი), „შახტიორი“ (კემეროვო) „ურალსკი ტრუბნიკი“ (პერვოურალსკი), „ვიმპელი“ (კალინინგრადი), „ავტომობილისტი“ (ყარაგანდა) „ზორკი“ (კრასნოგორსკი), „ლოკომოტივი“ (ირკუტსკი), „ვოდნიკი“ (არხანგელსკი) და უმაღლეს ლიგაში კვლავ დაბრუნებული „ფილი“ (მოსკოვი).

25 ნოემბერს ერთდროულად ექვს ქალაქში — სვერდლოვსკში, ხაბაროვსკში, კრასნოიარსკში, კემეროვოში, პერვოურალსკსა და ირკუტსკში დაიწყება ასპარეზობა, რომელიც მარტის შუა რიცხვებამდე გასტანს. ორწლიანი შესვენების შემდეგ განახლდება თამაშები „ა“ კლასის მეორე ჯგუფში, სადაც ათი გუნდი იასპარეზებს.

1972 წლის იანვარში ულიანოვსკში ჩატარდება საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ პრიზზე სსრ კავშირის, ფინეთის, შვეციისა და ნორვეგიის ნაკრები გუნდების მონაწილეობით. არსებითად ეს მსოფლიოს მცირე ჩემპიონატი იქნება.

ა. კაჩალოვი.

• •

ვინ მოკლავს „კურდღელს“

პიარნუს მცხოვრებლებმა მშობლიური ქალაქის თვალწარმტაც გარეუბან ტემისტუში მოულოდნელად ხეებსა და ბუჩქნარებს შორის ცხოველებისა და ფრინველების სილუეტები შენიშნეს. დროდადრო სამიზნეებიდან მოშორებით გამოჩნდებოდნენ სპორტულ კოსტიუმებში გამოწყობილი ადამიანები, რომელთაც ხელში მშვილდები ეჭირათ. გაისმოდა ლარის ზუზუნი და „მონადირე“ სამიზნეს აზიანებდა. ადგილობრივმა „რობინ ჰუდებმა“ ასე დაიწყეს შეჯიბრებები — ადგილზე სილუეტებზე სროლაში, რაც აქამდე საბჭოთა კავშირში არ იყო გავრცელებული.

შემთხვევითი არაა, რომ ეს შეჯიბრება პირველად ჩატარდა სწორედ პიარნუში, საკურორტო ქალაქში, რომელიც მშვილდოსნობის ერთ ერთ ცენტრად იქცა, სადაც დიდი და პატარა სპორტის ამ სახეობას მისდევს. პიარნუში აღიზარდა საბჭოთა კავშირის არაერთი რეკორდსმენი და ჩემპიონატების პრიზიორი, ისეთი სპორტსმენები, როგორიც არიან ო. ხაიდაკი, მ. ვაიკიარვი, ვ. პიქსონი და სხვ.

ადგილზე „ნადირობა“ ტარდებოდა 14 სხვადასხვა სამიზნეზე — კურდღლის, შველის, მელიის, მაჩვის, როჭოს სილუეტებზე... ყველა სამიზნე შესაბამისი ზომისა და ბუნებრივ ფერად შეღებილი იყო. თითოეული „მონადირე“ ოთხჯერ ისროდა სხვადასხვა დისტანციიდან. ეს მანძილი სამიზნის ზომისა და მსაჯთა მოთხოვნის შესაბამისად მერყეობდა ექვსიდან სამოც მეტრამდე. სილუეტის ცენტრში მოხვედრას მსროლელისთვის 5 ქულა მოჰქონდა, დანარჩენი ნაწილების დაზიანებას — 3 ქულა. „მონადირეს“ დიდი-დიდი 280 ქულის დაგროვება შეეძლო.

— ჩვენ ვცდილობდით „ნადირობის“ პირობები მაქსიმალურად დაგვეახლოებინა საველე პირობებთან, — გვიამბო ესტონეთის სპორტკომიტეტის უფროსმა მწვრთნელმა ა. ლევანდიმ. — მშვილდოსანს ხშირად სროლა მოუწევს მოუხერხებელი ადგილებიდან — ფერდობებიდან, ბუჩქებიდან, ხეების ტოტებიდან. ამან საშუალება მისცა სპორტსმენებს გაეფართოებინათ წვრთნა, აემაღლებინათ ოსტატობა. ან რა სჯობს სუფთა, ტყის ჰაერით სუნთქვას, ბუნების სილამაზით ტკბობას და „კურდღლის“ მოკვლას, ნამდვილიც რომ არ იყოს

ზ. იასტრებოვი.

პიარნუ.

მოსკოველმა „ლომთევზებმა“ გახსნეს წლევანდელი სპორტული სეზონი. ლიუბლინის უბეში გაიმართა მოსკოვის VII პირველობა ზამთრის ცურვაში.

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ვ. ნოსოვის ფოტო.
(საკდესი).

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

მოკლედ

პერტში (ავსტრალია) მოეწყო ერთობ უჩვეულო მატჩი ადგილობრივ გუნდებს შორის, რომლის დამთავრების შემდეგ ორივე მხარემ განაცხადა, რომ ფეხბურთში... მსოფლიო რეკორდის ავტორია! მატჩი, მართლაც, უჩვეულო გამოდგა — „პერტ-სიტიმ" და „ოლიმპიკმა" ითამაშეს 20 საათი და 37 წუთი! მატჩი მხოლოდ მეორე დღეს დამთავრდა ანგარიშით... 76:68 „პერტ-სიტის" სასარგებლოდ. ყოველი 45 წუთის შემდეგ გუნდებს 10-წუთიანი შესვენება ჰქონდათ.

ცნობილმა ნახევარმცველმა დ. მაკ-კეიმ აღნიშნა პროფესიული ფეხბურთელის კარიერის მე-20 წლისთავი. იგი 50-იან წლებში ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურისა" და შოტლანდიის ნაკრების ცნობილი ნახევარმცველი იყო.

მეხიკოსგან 80 კმ-ით დაშორებულ პატარა ქალაქში თამაშობდნენ „ელ დესლისადერო" და „ელ კუერვო". მატჩის მიწურულში ანგარიში 3:3 იყო. მასპინძელთა შეტევის შედეგად სტუმართა კართან შეიქმნა სახიფათო მომენტი, მაგრამ მეკარე ა. სანტიაგომ ძალზე ძნელი ბურთი აიღო. გაისმა გასროლის ხმა. მეკარემ წამოდგომა ველარ შეძლო და შემდეგ, უკვე საავადმყოფოში, გარდაიცვალა. მას 4 ტყვია მოხვდა. გადარჩენილი გოლი მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მკვლელი პოლიციამ დააკავა.

შვიდი ცნობილი და ერთი უცნობი

გადამწყვეტ ფაზაში შედის ევროპული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურნირი — ჩემპიონთა თასის გათამაშება. 7 მეოთხედფინალისტის ვინაობა უკვე ცნობილია. ესენი არიან: „აიაქსი" (ჰოლანდია), „არსენალი" (ინგლისი), „სელტიკი" (შოტლანდია), „სტანდარდი" (ბელგია), „დოჟა" (უიპეშტი, უნგრეთი), „ფეიენოორდი" (ჰოლანდია) და „ბენფიკა" (პორტუგალია). მერვე კანდიდატს დაასახელებს „ბორუსიასა" (გფრ) და „ინტერნაციონალეს" (იტალია) ხელახალი, რიგით მესამე მატჩი. ერთი შეხვედრა იტალიელებს საკუთარ მოედანზე უკვე მოგებული აქვთ — 4:2. გაიმართა საპასუხო მატჩიც, რომელიც გერმანელებმა დიდი ანგარიშით მოიგეს — 7:1, მაგრამ „ინტერმა" ეს შედეგი გააპროტესტა, რაც ფეხბურთის ევროპულმა კავშირმა მიიღო. მესამედ მეტოქეები ერთმანეთს შეხვდებიან 1 დეკემბერს ბერნში.

მეოთხედფინალისტთა შორის აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს მიაღწიეს „ფეიენოორდის" ფეხბურთელებმა. მათ ამ ტურნირში 4 შეხვედრა ჩაატარეს და ყველა მოიგეს გატანილი და მიღებული ბურთების მშვენიერი სხვაობით — 22—0. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ 17 გოლი ჰოლანდიელებმა კვიპროსის „ოლიმპიას" გაუტანეს, გუნდს, რომელიც ალბათ ყველაზე სუსტი მეტოქე იყო ტურნირის პირველი ეტაპის 32 მონაწილეში.

ყველა შეხვედრა მოიგო ინგლისის ჩემპიონმა „არსენალმაც". მასაც, ისევე როგორც „ფეიენოორდს", 8 ქულა დაუგროვდა, მაგრამ ბურთების უფრო მოკრძალებული ბალანსი აქვს — 12—1. თითო ქულა დაკარგეს „ბენფიკამ" და „აიაქსმა", ორ-ორი კი „სელტიკმა", „სტანდარდმა" და „დოჟამ".

აი, როგორია მეოთხედფინალისტთა მაჩვენებლები მთელი ტურნირის მანძილზე:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფეიენოორდი" (ჰოლანდია)	4	4	0	0	22—0	8
„არსენალი" (ინგლისი)	4	4	0	0	12—1	8
„ბენფიკა" (პორტუგალია)	4	3	1	0	9—2	7
„აიაქსი" (ჰოლანდია)	4	3	1	0	8—2	7
„სელტიკი" (შოტლანდია)	4	3	0	1	11—3	6
„დოჟა" (უნგრეთი)	4	3	0	1	7—2	6
„სტანდარდი" (ბელგია)	4	3	0	1	7—3	6
„ინტერნაციონალე" (იტალია)	3	2	0	1	10—6	4
„ბორუსია" (გფრ)	3	2	0	1	9—5	4

სულ დღეისთვის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩატარდა 47 შეხვედრა. 37 მატჩი აღინიშნა ერთ-ერთი გუნდის წარმატებით, 10 კი ფრედ დამთავრდა. ამ ხნის მანძილზე გატანილი იქნა 147 გოლი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ მატჩში საშუალოდ 3,01 გოლი გადიოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პოპულარულ ტურნირში სტარტი 32 კოლექტივმა აიღო. დღეისთვის ბრძოლას განაგრძობს 9 გუნდი („ინტერ"—„ბორუსიას" ხელახალი მატჩის გათვალისწინებით), დანარჩენებმა უკვე დაამთავრეს ასპარეზობა და ალბათ მომავალი ტურნირისთვის ემზადებიან, მაგრამ საამისოდ ჯერ საკუთარი ქვეყნის ჩემპიონობა უნდა მოიპოვონ.

ინტერესმოკლებული არ იქნება გადავხედოთ იმათ მაჩვენებლებსაც, ვისთვისაც ეს ჩემპიონატები უკვე დამთავრდა.

ცსკა (ბულგარეთი)	4	2	1	1	5—2	5
ცსკა (სსრ კავშირი)	4	2	1	1	5—3	5
„გრასჰოპერსი" (შვეცია)	4	1	1	2	9—6	3
„შლიემა" (მალტა)	4	1	1	2	5—7	3
„მარსელი" (საფრანგეთი)	4	1	1	2	5—8	3
„ვალენსია" (ესპანეთი)	4	0	2	2	2—4	2
„დინამო" (რუმინეთი)	4	0	2	2	2—7	2

დანარჩენი 16 კოლექტივი ტურნირს პირველსავე ეტაპზე გამოეთიშა. ამიტომ მათ მხოლოდ ორი შეხვედრის ჩატარება მოასწრეს საკუთარ და მეტოქის მოედნებზე.

ფიფა ნებას რთავს

წლების მანძილზე არავის ეგონა, რომ ქალთა ფეხბურთს რაიმე სერიოზული სახე მიეცემოდა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ფიფა-მ თავის წევრებს მოუწოდა ხელი შეუწყონ ქალთა ფეხბურთის განვითარებას, უეფა-მ კი სპეციალური კომიტეტი შექმნა ამ საკითხის შესასწავლად. პრესა აღნიშნავს, რომ ფიფა-მ ეს ნაბიჯი გადადგა იმიტომ, რომ ქალთა ფეხბურთმა დიდი გავრცელება ჰპოვა და ორჯერ მოაწყო არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა ეროვნულ გუნდებს შორის (იტალიასა და მექსიკაში). ამავე დროს ფიფა-მ და უეფა-მ განაცხადეს, რომ შეეცდებიან წინ აღუდგნენ ბიზნესმენებს, რომლებიც აპირებენ ქალთა ფეხბურთს დაუკარგონ სპორტული სახე.

12 ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციებმა ფიფა-ს სახელზე გაგზავნილ პასუხებში აღნიშნეს, რომ ოფიციალურად დაუშვეს თავიანთ ქვეყნებში ქალთა ფეხბურთი, ხოლო 21 ქვეყნის ასოციაციებმა განაცხადეს, რომ მართალია ქალთა ფეხბურთი ოფიციალურად ჯერ არა აქვთ დაშვებული, მაგრამ ფაქტიურად იგი კულტივირებულია (მაგალითად, იაპონია, კენია, ინგლისი, იტალია, ჰოლანდია, არგენტინა, ბრაზილია, ახალი ზელანდია, აშშ და სხვები).

უეფა-ს მიერ ჩატარებული გამოკვლევა ცხადყოფს, რომ ქალთა ფეხბურთი ფაქტიურად დანერგილია ევროპის 22 ქვეყანაში.

პარაგვაის ასოციაციამ გამოაცხადა, რომ მისი ქვეყნის მთავრობა წინააღმდეგია ქალთა ფეხბურთის დაშვებისა, ვინაიდან „ფეხბურთელი ქალის" ცნება ეწინააღმდეგება საერთოდ „ქალისა და ქალურობის" ცნებას.

უცხოეთის პრესა აღნიშნავს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების შემოღებას ფეხბურთელ ქალთათვის, სპეციალური კომიტეტი ამუშავებს წესებს ქალთა ფეხბურთისთვის. წესები ოდნავ განსხვავებული იქნება: შემსუბუქდება და დაპატარავდება ბურთი, შემოკლდება თამაშის დრო და სხვ.

ლ. ალსინდორი — № 1 პროფესიონალი

ლ. ალსინდორი.

ჯ. პაველიჩეკი.

დ. ბაინგი.

გ. ჯონსონი.

ჯ. უესტი.

აშშ-ს პროფესიულ კალათბურთში მოვლენები თავბრუდამხვევი სისწრაფით იცვლება. ზოგი ვარსკვლავი უკვალოდ იკარგება წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების კულუარებში, ზოგი კი საოცარი სიჯიუტით ებღაუჭება სინამდვილეს და ცდილობს მცირე ხნით მაინც გაიხანგრძლივოს არსებობა. პროფესიული სპორტის კანონები არ ინდობს არავის, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც უკვე შეერყა საფუძველი და ამიერიდან ერთადერთი გზით კატასტროფისკენ მიექანება.

მაგრამ პროფესიულ კალათბურთში არსებობს ერთი სპორტსმენი, რომელზეც ეს კანონი არ ვრცელდება. იგი ზევარსკვლავია, ანუ როგორც მას შტატებში უწოდებენ „უკვდავი". დიახ, ჩვეულებრივი, მოკვდავი კალათბურთელების გვერდით არსებობენ „უკვდავნი", ამქვეყნად პატივისა და დიდებისთვის მოსულნი. ისინი, რიგითი კალათბურთელებისგან განსხვავებით, უფრო მეტ ხანს ბრწყინავენ, უფრო მეტ ხანს ინარჩუნებენ სახელს და ცხადია, ერთიათად მეტ პატივსაც იმსახურებენ.

თუმცა, „უკვდავებსაც" ჰქონიათ დიდების თავისებური ლიმიტი. ამ ლიმიტის ამოწურვა „მათთვის" ისეთივე ტრაგედიაა, როგორც ჩვეულებრივი რიგითი კალათბურთელებისთვის, ოღონდ ერთი პლუსით — ყოფილი „უკვდავი" თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე აგროვებს რაღაც გარკვეულ კაპიტალს და თამაშიდან უფრო წელგამართული გადის. სპორტისთვის იგი აღარ არსებობს, სამაგიეროდ, ოჯახისთვის კიდევ დიდხანს შეუძლია სარგებლობის მოტანა.

ამ ცოტა ხნის წინ პროფესიულ კალათბურთში რევოლუცია მოხდა. არა, იმას ნუ იფიქრებთ, თითქოს სპორტსმენები წინ აღუდგნენ რაიმე სოციალურ მოვლენას და სცადეს თავიანთი ადამიანური უფლებების დაცვა. რევოლუციას უფრო სენსაციური ხასიათი ჰქონდა: გამოქვეყნდა პროფესიული კალათბურთელების ორი ნაკრების სია და არც ერთში არ აღმოჩნდა უილტონ ჩემბერლენი — თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე კალათბურთელი. მიზეზი შეიძლება ათასგვარი იყოს: კონფლიქტი ხელმძღვანელობასთან, კარიერის დასასრული, რაიმე პირადი მოტივი და ვინ იცის კიდევ რა, მაგრამ ფაქტი ფაქტია — მრავალი წლის მანძილზე ეს პირველად მოხდა, რომ ჩემბერლენის გვარი არ ამშვენებს არც ერთი ნაკრების ხუთეულს.

ვინ მოხვდა ამჯერად პროფესიული კალათბურთის ავანგარდში? „უკვდავთა" პირველი გუნდი ასეთია: 23 წლის ლ. ალსინდორი (მილუოკი), 30 წლის ჯ. ჰავლიჩეკი (ბოსტონი), 32 წლის გ. ჯონსონი (ბალტიმორა), 27 წლის დ. ბაინგი (დეტროიტი) და 32 წლის ჯ. უესტი (ლოს-ანჯელესი). როგორც ხედავთ, პირველი ნაკრების ასაკი საკმაოდ კრიტიკულია. ყოველ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ ჯონსონმა, უესტმა და ჰავლიჩეკმა სულ მალე დატოვონ სარბიელი.

არც მეორე ნაკრებია მაინცდამაინც ახალგაზრდული. ამ გუნდში შევიდნენ: 28 წლის ბ. ლოვი (ჩიკაგო), 27 წლის ბ. კენინგჰემი (ფილადელფია), 28 წლის ვ. რიდი (ნიუ-იორკი), 32 წლის ო. რობერტსონი (მილუოკი) და 25 წლის უ. ფრეზერი (ნიუ-იორკი).

ამ ათეულში და, მაშასადამე, მთელს პროფესიულ კალათბურთში ყველაზე კოლორიტული ფიგურაა ლ. ალსინდორი, რომელმაც, როგორც ჩანს, ესტაფეტა ჩამოართვა ლეგენდარულ უ. ჩემბერლენს. ჩვენს წინაა ბალტიმორას გუნდთან (აქ გამოდის პირველი ნაკრების წევრი ჯონსონი) მილუოკელთა (გუნდი, რომლის შემადგენლობაში თამაშობენ ალსინდორი და რობერტსონი) 4 შეხვედრის ოქმები. ოთხივე მატჩი მოიგო მილუოკმა ანგარიშით 98:88, 102:83, 107:99, 118:106. ლ. ალსინდორი ყველა მატჩში საუკეთესო სნაიპერი იყო. პირველ შეხვედრაში მან თავის კოლექტივს 81 ქულა შესძინა (რობერტსონმა — 22), მეორეში — 27 (რობერტსონმა — 22), მესამეში — 23 (რობერტსონმა — 20), მეოთხეში — 32 (რობერტსონმა — 30).

1970-71 წლის სეზონში მილუოკის მთავარი ბომბარდირი პროფესიული კალათბურთის № 1 ვარსკვლავად აღიარეს. იგი ჯერ სულ ახალგაზრდაა, ჯან-ღონით სავსე, და, როგორც ჩანს, თავის ტახტს კიდევ დიდხანს არ დათმობს.

ჩემპიონატები, მატჩები, ცხრილები

იტალია

ჩემპიონატის V ტურში მილანის „ინტერმა" შინ სძლია „ტორინოს" — 2:0.

	თ.	ბ.	ქ.
„ინტერნაციონალე"	5	11:4	8
„იუვენტუსი"	5	11:5	8
„მილანი"	5	8:4	8

პორტუგალია

სეტუბალის „ვიტორიამ" პორტუში მოუგო ადგილობრივ „ლეიქშოიშს" — 3:1, ხოლო აუტსაიდერმა — „ბოავისტამ" ფრედ ითამაშა ლისაბონის „ბენფიკასთან" — 2:2.

„ბენფიკა"	8	18:6	14
„სპორტინგი" (ლისაბონი)	8	17:6	14
„ვიტორია"	8	21:6	13

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაცია, ქართული ტანვარჯიშის ვეტერანები და გაზეთ „ლელოს" რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი ტანმოვარჯიშე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზაღზრდის ყოფილი მთავარი ინსპექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

დავით ლავრენტის ძე ჭავრიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. (ზ) უე 03192